ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 15

“3” თებერვალი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის №32 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე” ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ” ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლის, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 12 იანვრის №2 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 26 იანვრის №04/1206 წერილის (AR1465613) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილი იქნას ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის №32 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში და საპროექტო არეალში დაფიქსირდეს საკადასტრო ერთეულები: №01.19.24.001.001; №01.19.24.002.009; №01.19.22.001.011; №01.19.24.003.017; №01.19.24.003.018; №01.19.24.003.043; №01.19.24.003.044. მრავალფუნქციური კომპლექსის ჩამონათვალს დაემატოს საცხოვრებელი ფუნქცია და დაფიქსირდეს შერეული ფუნქციის საზოგადოებრივი საწარმო, საცხოვრებელი შენობა–ნაგებობები.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი